June 2022 (№22)
Volume 8; Issue 2; Page No. 131-138
ISSN: 2346-7916 (Print)
ISSN: 2587-5043 (Online)

INTERNATIONAL JOURNAL OF LAW: "LAW AND WORLD" www.lawandworld.ge

https://doi.org/10.36475/8.2.9 Licensed under: CC BY-SA

Application of the European Convention on Human Rights During the International Conflict

Shota Mshvenieradze
Student at Tbilisi State University, Faculty of Law

ARTICLE INFO

Article History:

Received 06.01.2022
Accepted 22.06.2022
Published 30.06.2022

Keywords:

Human Rights,
Legal Protection,
International Law,
Armed Conflicts

ABSTRACT

International law is not a panacea, and it is not always capable of ensuring international peace, as a result of which there are multiple international conflicts coexisting in current geopolitics. Armed conflicts are the source of a bleak reality that primarily affects the population living in conflict zones. During the war, those people's rights are frequently violated. It makes it necessary for international law to operate in a way that reduces the possibility of human rights violations.

The implementation of one of the instruments of international law, the European Convention on Human Rights, during international armed conflicts is examined in the following article. The European Convention on Human Rights is particularly relevant today, because on its basis numerous states international legal responsibility has arisen before the European Court of Human Rights. For now, as far as such a large-scale armed conflict is in progress in Europe, the role of the European Convention on Human Rights is immeasurable when it comes to protecting human rights in Ukraine. Application of the convention in this and the other international armed conflicts, as well as the problems and challenges of application of the convention in those situations will be discussed in the following article.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საერთაშორისო კონფლიქტის დროს

შოთა მშვენიერაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი

საკვანძო სიტყვები: ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დაცვა, საერთაშორისო სამართალი, შეიარაღებული კონფლიქტები

აბსტრაქტი

საერთაშორისო სამართალი არ არის პანაცეა და სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ახერხებს საერთაშორისო დონეზე მშვიდობის უზრუნველყოფას, მაშასადამე, თანამედროვე გეოპოლიტიკურ ვითარებაშიც არაერთი კონფლიქტი თანაარსებობს. ამგვარი შეიარაღებული კონფლიქტები განაპირობებენ მეტად მძიმე რეალობას, რაც განსაკუთრებით რთულად კონფლიქტის ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებზე აისახება. ამ ადამიანების უფლებები ხშირად ხდება დარღვევათა ობიექტი ომის პირობებში. ეს აჩენს იმის განსაკუთრებულ საჭიროებას, რომ საერთაშორისო სამართალმა იმოქმედოს იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებათა შელახვის რისკები.

მოცემულ ნაშრომში, სწორედ საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ამგვარი სამოქმედო ინსტრუმენტის – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის – გამოყენებაზეა საუბარი საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია დღეისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც მასზე დაყრდნობით უკვე არაერთხელ დადგა კონვენციის დამრღვევი არაერთი სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. დღესაც როდესაც ევროპაში ასეთი მასშტაბური შეიარაღებული კონფლიქტი მიმდინარეობს, უკრაინის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის როლი განუზომელია ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. სწორედ ამ და სხვა საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტების პირობებში კონვენციის გამოყენებაზე იქნება მსჯელობა მოცემულ სტატიაში, ისევე, როგორც იმ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რომლებიც ამგვარ ვითარებებში კონვენციის გამოყენებას ახლავს თან.

შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო სისტემა, მიუხედავად განვითარებული საერთაშორისო სამართლისა, სრულად ვერ ახდენს შეიარაღებული საერთაშორისო კონფლიქტების არსებობის პრევენციას. გეოპოლიტიკაში ხშირად წარმოიშვება შემთხვევები, როდე-

საც ერთი სახელმწიფო მეორის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიას ახორციელებს. ამგვარ სიტუაციებში, სხვა სახელმწიფოს მტრულად განწყობილი შეიარაღებული ძალების პირისპირ ხშირად ხვდებიან ადგილობრივი სახელმწიფოს მშვიდობიანი მოქალაქეები, რომელთა უფლებებიც არამარტო აშკარა რისკის ქვეშ დგება, არამედ ხშირად პირდაპირი და უხეში დარღვევის ობიექტიცაა.

შემთხვევები, რომლებიც ამგვარ სიტუაციას შეეხება, მეტად მძიმეა და პრაქტიკულად ყოველი შეიარაღებული კონფლიქტის თანმდევ მანკიერ პრაქტიკადაა ქცეული. არაკომბატანტები და მათი უფლებები ხშირად სრულიად დაუცველნი არიან შეირაღებული პირების წინაშე. ეს საერთაშორისო სამართლისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, რომლის გადაჭრაც ცალკეულ გამოწვევებთანაა დაკავშირებული, რომლებიც ნაშრომის ძირითად ნაწილში იქნება განხილული. აქ ხაზი უნდა გაესვას მხოლოდ იმას, რომ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში სირთულეებს წარმოშობს ის ფაქტობრივი მდგომარეობა ანუ ანარქია, რომელიც ამა თუ იმ რეგიონშია დამდგარი საომარი მოქმედებების შედეგად. იქნება ეს პასუხისმგებლობის დადგენის, მტკიცებულებათა მოპოვების თუ ომის დანაშაულის პრევენციის რეალურად ქმედითი მექანიზმების ნაკლებობის საკითხები, ფაქტი რჩება ფაქტად, რომ საერთაშორისო სამართალმა უნდა იმოქმედოს კონფლიქტის ზონებში ადამიანის უფლებათა დაცვის რაც შეიძლება მაღალ ხარისხში ასაყვანად.

მოცემულ ნაშრომშიც სწორედ ერთ-ერთ ამგვარ საშუალებაზე – ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე და საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას ამგვარ ტერიტორიებზე მის მოქმედებასა და გამოყენებაზე იქნება მსჯელობა განვითარებული.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოქმედება კონფლიქტის დროს და ოკუპაციის პირობებში

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია წარმოადგენს საერთაშორისო კონვენციას, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფას ევროპის კონტინენტზე. ევროპის საბჭოს თითოეული წევრი ქვეყანა პარალელურად კონვენციის მონაწილე სახელმწიფოცაა.[1] უნდა აღინიშნოს, რომ რამდენად ეფექტიანადაც ახერხებს კონვენცია ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ფუნქციონირებას ევროპის მასშტაბით კონტინენტის რიგ სახელმწიფოებში, ჩნდება კითხვის ნიშანი მის მოქმედებასთან დაკავშირებით საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში. კერძოდ, საკითხი შეეხება იმას, იყო ან არის თუ არა კონფლიქტის რეგიონებში მყოფი პირების უფლებები დაცული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლებით მიმდინარე შეიარაღებული საერთაშორისო კონფლიქტის მომენტისათვის და ოკუპაციის პერიოდში. ამის დადგენა ის აუცილებელი ფუნდამენტია, საიდანაც უნდა დაიწყოს განსახილველი თემის ირგვლივ მსჯელობა.

მსჯელობის ამ ეტაპზე საინტერესოა, იყვნენ თუ არა კონვენციით დაცულები მშვიდობიანი მოქალაქეები აგვისტოს ომის, უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებებისა ან სხვა შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდებში. ამ საკითხს არეგულირებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულების შესახებ საუბრობს: *„მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I კარში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს“*.[2]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პრაქტიკაში, საქმეზე ბანკოვიჩი ნატოს წევრი ქვეყნების წინააღმდეგ მსჯელობის შედეგად განსაზღვრა, რომ *„სახელმწიფოებს მხოლოდ მაშინ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებ-*

1 აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაცია ევროპის საბჭოდან 2022 წლის 16 მარტს უკრაინაში განხორციელებული სამხედრო აგრესიის გამო.

2 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (1950), მუხლი 1.

ლობა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუკი ისინი უცხოეთის ტერიტორიაზე ან კონკრეტულ ვითარებაზე ეფექტიან კონტროლს ახორციელებენ".[3] ამაზე დაყრდნობითა და ჩრდილოეთ კვიპროსში თურქეთის მიერ გახორციელებული ქმედებების მასშტაბებთან სიახლოვის გამო, ხაზგასასმელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აღნიშვნა, რომ *„რამდენადაც მისი კონტროლის ფარგლები შეზღუდული იყო, პირველი მუხლის პოზიტიური ვალდებულება შესაძლოა იგივენაირად იქნას შეზღუდული".*[4]

საქმეზე ბანკოვიჩი და სხვები ნატოს წევრი ქვეყნების წინააღმდეგ, საკითხი შეეხებოდა ნატოს წევრი ქვეყნების მიერ განხორციელებულ სარაკეტო დარტყმას, რომელმაც მომჩივანთა ოჯახის წევრების დაღუპვა და ერთ-ერთი მომჩივანის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია. ისინი აპელირებდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2, მე-10 და მე-13 მუხლების დარღვევაზე. ნატოს წევრი ქვეყნები დავობდნენ საქმის დასაშვებობის საკითხზე, აცხადებდნენ რა, რომ აპლიკანტები არ ექცეოდნენ მოპასუხე სახელმწიფოების იურისდიქციის ქვეშ კონვენციის პირველი მუხლის მიზნებისათვის.

ამ უკანასკნელის გასამყარებლად მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ ნატოს წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელებული ქმედებები ვერ დააკმაყოფილებდა ეფექტიანი კონტროლის კრიტერიუმს. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საბოლოოდ მიემხრო სახელმწიფოთა პოზიციას, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მოცემული ვითარება ვერ მოექცეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის იურისდიქციის ქვეშ და შესაბამისად, არც პირველი მუხლი იქნებოდა სრულად რელევანტური.

აქტიურ საბრძოლო მოქმედებებთან დაკავშირებით, ბანკოვიჩი ნატოს წევრი ქვეყნების წინააღმდეგ დამკვიდრებული პრაქტიკა გაიმეორა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) საქმესთან დაკავშირებით. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სასამართლომ დააკმაყოფილა ქართული მხარის პოზიციები, აგვისტოს ომის აქტიური საბრძოლო მოქმედებების ფაზის დროს (2008 წლის 8-12 აგვისტო) არ მიიჩნია სწორად რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ მოექცია ჩადენილი დარღვევები.

აქ მნიშვნელოვანი ფაქტორია „ეფექტიანი კონტროლისა" და „სახელმწიფოს წარმომადგენლის უფლებამოსილებისა და კონტროლის" ტესტები. პირველი მათგანი შეეხება კონკრეტული სახელმწიფოს მიერ კონკრეტულ რეგიონზე ან სიტუაციაზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელებას. აქ სასამართლომ მსჯელობის დასაწყისშივე განმარტა, რომ, აქტიური საბრძოლო მოქმედებების განხორციელების მომენტამდე, მნიშვნელოვანი არ გახლდათ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის მიერ ეფექტიანი კონტროლის განხორციელების საკითხის დადგენა, რამდენადაც იმ მოქმედებათა უმრავლესობა რომლებიც აგვისტოს ომის აქტიურ ფაზამდე (8-12 აგვისტო) განხორციელდა საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე წარიმართა.

უშუალოდ აქტიურ ფაზაზე საუბრისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ *„შეიარაღებული დაპირისპირება და საბრძოლო მოქმედებები მხარეთა სამხედრო ძალებს შორის, რომელთა მიზანს ტერიტორიაზე კონტროლის დამყარება წარმოადგენდა, მიმდინარეობდა ქაოსის ფარგლებში, რაც იმ კონკრეტულ ტერიტორიაზე კონტროლის არარსებობას ნიშნავდა".*[5] მაშასადამე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კვლავაც პირდაპირ უსვამს ხაზს, რომ აგვისტოს ომის აქტიური საბრძოლო მოქმედებები ანარქიის პირობებში მიმდინარეობდა. ამ უკანასკნელის არსებობა კი, როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხდა, ართულებდა ეფექტიანი კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფოს განმახორციელებელი სახელმწიფოს გამოკეტვას, რაც, ჩვენს შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენდა აქტიური საბრძოლო მოქმედებების მომენტში.

რაც შეეხება ზემოთ მოცემულ მეორე, სახელმწიფოს წარმომადგენლის უფლებამოსილე-

3 Bankovic, Stojanovic, Stoimedovski, Joksimovic and Sukovic v., (2001). Belgium, Czech Republic, Denmark, France, Germany, Greece, Hungary, Iceland, Italy, Luxembourg, Netherlands, Norway, Poland, Portugal, Spain, Turkey and the UK. ECHR.

4 იქვე, § 52.

5 Georgia v. Russia (II), (2021). ECHR. § 126.

ბისა და კონტროლის ტესტს, აქ ძირითადი აქცენტი კეთდება თავად სახელმწიფო აგენტზე და მის ქმედებებზე რეალური ძალაუფლების ფლობის საკითხზე. ამასთან დაკავშირებითაც სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ მომენტში, მოცემულ ვითარებაში არსებული ქაოსი, რომლის შედეგების შესახებაც ეფექტიანი კონტროლის ტესტთან მიმართებაშიც უკვე ვიმსჯელეთ, კვლავაც წარმოშობდა შედეგებს სახელმწიფოს წარმომადგენლის უფლებამოსილებისა და კონტროლის ტესტთან მიმართებაშიც. ეს ნიშნავს იმას, რომ იმ დროისათვის არსებული ქაოტური ვითარება გამორიცხავდა სახელმწიფოს წარმომადგენლის უფლებამოსილებისა და კონტროლის კრიტერიუმის დაკმაყოფილებასაც.

აქვე მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას ზემოთ ხსენებული ბანკოვიჩი და სხვები ნატოს წევრი ქვეყნების წინააღმდეგ საქმის დიდ მნიშვნელობას პრეცენდენტული სამართლის განვითარებაზე, რაც პირდაპირ აისახა საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) საქმეში აქტიური საბრძოლო მოქმედებების ფაზის დროს რუსეთის იურისდიქციის არ აღიარების ნაწილში სასამართლოს მიერ და ამ გავლენაზე ოდნავ მოგვიანებით უფრო დეტალურად იქნება მსჯელობა განხილული.

კიდევ ერთი ხაზგასასმელი საკითხი შეეხება რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ. აგრესიიდან რამდენიმე დღეში, 1 მარტს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, უკრაინული მხარის მოთხოვნით, გამოსცა დროებითი ღონისძიება რეგლამენტის 39-ე წესის შესაბამისად. ეს უკანასკნელი დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მძიმე დარღვევის მაღალ რისკებს, კერძოდ, მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება), მე-3 მუხლისა (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) და მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევათა მაღალ ალბათობას სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ.

რამდენადაც უკრაინაში მიმდინარე შეიარაღებული მოქმედებები ჯერაც დაუსრულებელი კონფლიქტია, ხოლო რუსეთის ფედერაცია აღარ წარმოადგენს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს, ჩნდება კითხვის ნიშნები საერთაშორისო სამართლებრივი ვაკუმიის შესაძლო შექმნაზე. ეს გამომდინარეობს იქედანაც, რომ მოცემულ კონფლიქტსა და მოცემულ საკითხში, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებას შეეხება შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რუსეთის ფედერაცია არის ის სახელმწიფო, რომელსაც მიემართება ბრალდებები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევების შესახებ. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თითქმის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რუსეთის ფედერაცია შენარჩუნდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე მხარედ 2022 წლის 16 სექტემბრამდე.

ამ უკანასკნელის საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობა დიდია, რამდენადაც, ამაზე დაყრდნობით, შეუძლებელი გახდება რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის უგულებელყოფა და ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის ფარგლებშიც არ გამოირიცხება რუსეთის საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების პარალელურად ჩადენილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებისათვის.

პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები

2021 წლის იანვარში, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს დიდმა პალატამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II). საქმე შეეხებოდა აგვისტოს ომის პერიოდში ადამიანის უფლებათა დარღვევის არაერთ ფაქტს. საქმეზე მსჯელობის შედეგად, სასამართლომ დაადგინა, რომ აგვისტოს ომის აქტიური ფაზის პერიოდში რუსეთის ფედერაციის იურისდიქცია არ უნდა გავრცელებულიყო საბრძოლო მოქმედებების დროს ჩადენილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე.

ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ *„მხედველობაში მიიღო რა სავარაუდო დაზარალებულთა და სადავო ინციდენტთა დიდი რაოდენობა, წარდგენილი მტკიცებულებების მასშტაბი, შესაბამისი გარემოებების და-*

დგენის სირთულე და ის ფაქტი, რომ ამგვარი სიტუაციები, გარდა კონვენციისა, უპირატესად რეგულირდება სხვა სამართლებრივი ნორმებით (კერძოდ, საერთაშორისო ჰუმანიტარული ან შეიარაღებული კონფლიქტის სამართლით), სასამართლომ მიიჩნია, რომ მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, სხვაგვარად განევითარებინა თავისი პრეცედენტული სამართალი".[6]

აღნიშნული გადაწყვეტილებით, სასამართლომ გაიმეორა ამ გადაწყვეტილების მიღებამდე არსებული პრაქტიკა. მართლაც, სასამართლოს მსჯელობები გადავსებულია მისი წარსული საქმეებისა და ევროპული კომისიის ციტირებებით.[7] ამგვარი პრაქტიკის ანალიზისას კი უმნიშვნელოვანესია ბანკოვიჩი და სხვები ნატოს წევრი ქვეყნების წინააღმდეგ საქმის ხსენება. ამ საქმეში დამკვიდრებული პრაქტიკით კი, კონვენციის 1-ელი მუხლის მიზნებისთვის, რთულია უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის უფლებათა დაცვა საერთაშორისო კონფლიქტის დროს.

ცხადია საქართველო რუსეთის წინააღმდეგ საქმის განხილვის ფარგლებშიც გამოყენებული დამკვიდრებული პრაქტიკა გახლდათ ბანკოვიჩი ნატოს წევრი ქვეყნების წინააღმდეგ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებაც.

ამ პრაქტიკის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ *„შეხედულება, რომლის მიხედვითაც, ხელშემკვრელი სახელმწიფოს ქმედებით დაზარალებული ნებისმიერი პირი, სადაც არ უნდა განხორციელებულიყო ასეთი ქმედება, ან სადაც არ უნდა დამდგარიყო მისი შედეგები, ექცევა მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ კონვენციის 1-ელი მუხლის მიზნებისთვის, კონვენციიდან არ გამომდინარეობს".*[8]

მაშასადამე, მივდივართ იქამდე, რომ მიუხედავად იმისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აკმაყოფილებს ქართული მხარის მოთხოვნებს, იგი მაინც არ უხვევს ბანკოვიჩის ტესტიდან, რის გამოც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მრავალი ადამიანის დაცულობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში.

დასკვნა

ფაქტია, რომ ბანკოვიჩი ნატოს წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ საქმეზე ჩამოყალიბებული პრაქტიკა, საერთაშორისო სამართლებრივად ქმნის ნაპრალს და შესაბამისად, წარმოადგენს პრობლემას თანამედროვე საერთაშორისო სამართალში. კერძოდ პრობლემაა ის, რომ *„ბანკოვიჩის შემდგომ განხილულ საქმეებში, სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ ინდივიდებზე სახელმწიფოს აგენტის უფლებამოსილებისა და კონტროლის დადგენისას, სასამართლოსთვის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა ამ პირებზე ფიზიკური ძალაუფლების და კონტროლის განხორციელება".*[9]

ანუ საომარი მოქმედებების აქტიური ფაზის დროს, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელებული ქმედებების მოქცევა იურისდიქციის ქვეშ მნიშვნელოვან გამოწვევად ჩამოყალიბდა, რამეთუ ის მოცემულობა, სადაც არ იქნება იურისდიქცია კონკრეტული საერთაშორისო სუბიექტებისათვის, ამ შემთხვევაში კი რუსეთის ფედერაციისათვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდების შესაძლებლობას გულისხმობს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ის მიდგომა, რომლის თანახმადაც ქაოსური კონტექსტი გამორიცხავს სახელმწიფოს აგენტის უფლებამოსილებისა და კონტროლის კრიტერიუმის დაკმაყოფილებას, არასწორია თავად იმ მოცემულობიდან გამომდინარე, რომელიც დგას აღნიშნულ ვითარებებში. სახელმწიფოს იურისდიქციის გამორიცხვა, მისი აგენტების ქმედებებზე, გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული, რომელიც საშუალებას მისცემდა მსგავს სახელმწიფოს, რომ თავიდან აეცილებინა პასუხისმგებლობა მის მიერ პოტენციურად ჩადენილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამო.

იმ ყველაფრის გათვალისწინებით კი, რაზედაც ზემოთ იყო მსჯელობა, ერთმნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული

6 იქვე, § 141.

7 Schabas, W.A., (2016). The European Convention on Human Rights A Commentary. United Kingdom: Oxford University Press.

8 Georgia v. Russia (II), (2021). ECHR. § 134.

9 ჯომარჯიძე, ნ., ონიანი, თ., ტაბატაძე, გ., (2021). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების და მასთან დაკავშირებით ხშირად დასმული კითხვების მიმოხილვა, საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II). საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. <https://bit.ly/3ybgJI8> [ბოლო ნახვის თარიღი: 10 ივნისი, 2021]

კონვენციის მნიშვნელოვანი სამართლებრივი მახასიათებლები, რომლებიც მის როლს თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში აძლიერებენ. ხოლო მეორე მხრივ, ის სირთულეები, რომლებსაც საერთაშორისო საზოგადოება აწყდება, მათ შორის, პრაქტიკაში ჩამოყალიბებული არასახარბიელო და არაეფექტიანი მიდგომების სახით, წარმოადგენს გამოწვევას საერთაშორისო სამართლისათვის. სამართლებრივი პროგრესისა და განვითარების მნიშნელობა, ამ კუთხით განსაკუთრებით ნათლად ჩანს რამდენადაც იგი, მომავალი მშვიდობიანი საერთაშორისო დღის წესრიგის ფორმირებისთვის აუცილებელი საყრდენია, რაც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დასაცავად საერთაშორისო გარემოს ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ბიბლიოგრაფია:

1. ჯომარჯიძე, ნ. ონიანი, თ, ტაბატაძე, გ., (2021). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების და მასთან დაკავშირებით ხშირად დასმული კითხვების მიმოხილვა, საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II). საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.
2. Schabas, W.A., (2016). The European Convention on Human Rights A Commentary. United Kingdom: Oxford University Press. (In English)
3. European Convention on Human Rights (1950). (In English)
4. Bankovic, Stojanovic, Stoimedovski, Joksimovic and Sukovic v. Belgium, Czech Republic, Denmark, France, Germany, Greece, Hungary, Iceland, Italy, Luxembourg, Netherlands, Norway, Poland, Portugal, Spain, Turkey and the UK, (2001). ECHR. (In English)
5. Georgia v. Russia (II), (2021). ECHR.

BIBLIOGRAPHY:

1. Jomarjidze, N. Oniani, T. Tabatadze G., (2021). The Review of the January 21, 2021 Decision of the European Court of Human rights and the Frequently Asked Questions Related to It, on the Case Georgia v. Russia (II), Georgian Young Lawyers Association. (In Georgian)
2. Schabas, W.A., (2016). The European Convention on Human Rights A Commentary. United Kingdom: Oxford University Press. (In English)
3. European Convention on Human Rights (1950). (In English)
4. Bankovic, Stojanovic, Stoimedovski, Joksimovic and Sukovic v. Belgium, Czech Republic, Denmark, France, Germany, Greece, Hungary, Iceland, Italy, Luxembourg, Netherlands, Norway, Poland, Portugal, Spain, Turkey and the UK, (2001). ECHR. (In English)
5. Georgia v. Russia (II), (2021). ECHR. (In English)

NOTES:

1. It should be noted that the Russian Federation withdrew from the Council of Europe on March 16, 2022 due to the military aggression in Ukraine.
2. European Convention on Human Rights (1950), Article 1.
3. Bankovic, Stojanovic, Stoimedovski, Joksimovic and Sukovic v., (2001). Belgium, Czech Republic, Denmark, France, Germany, Greece, Hungary, Iceland, Italy, Luxembourg, Netherlands, Norway, Poland, Portugal, Spain, Turkey and the UK. ECHR.
4. Ibid., § 52.
5. Georgia v. Russia (II), (2021). ECHR. § 126.
6. Ibid., § 141.
7. Schabas, W.A., (2016). The European Convention on Human Rights A Commentary. United Kingdom: Oxford University Press.
8. Georgia v. Russia (II), (2021). ECHR. § 134.
9. Jomarjidze, N., Oniani, T., Tabatadze, G., (2021). An overview of the European Court of Human Rights' judgment of 21 January 2021 and the frequently asked questions in the case of Georgia v. Russia (II). Georgian Young Lawyers Association. <https://bit.ly/3ybgJI8> [Last seen: June 10, 2021]